



საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის ხარვეზი, მისი ანალიზი და გამოსწორების გზები

რეზიუმე

საგადასახადო კანონმდებლობა შედგება საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი საერთაშორისო ხელშეკრულებების, საგადასახადო კოდექსისა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისგან (ბრძანება, ბრძანებულება, დადგენილება), რომელიც თავის მხრივ განისაზღვრება და იცვლება ქვეყნის საგადასახადო პოლიტიკიდან გამომდინარე. დღეისათვის, ქვეყანაში არსებული საგადასახადო პოლიტიკის მიზანია კერძო სექტორისა და უცხოური ინვესტიციებისათვის, ასევე ბიზნესის დაწესებულების და განვითარებისათვის, მიმზიდველი და ხელსაყრელი საგადასახადო გარემოს შექმნა. ამ მიზნით, საგადასახადო ადმინისტრირების პროცესში გამოვლენილი პრობლემების გათვალისწინებით, ხორციელდება გადასახადის ადმინისტრირების გამარტივება, საგადასახადო კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ევროკავშირის კანონმდებლობასთან და საგადასახადო კანონმდებლობის დახვეწა. სტატიაში განხილულია საგადასახადო კოდექსის ერთ-ერთი, კერძოდ, აქციზთან მიმართებაში არსებული ხარვეზი.

საკვანძო სიტყვები: საგადასახადო კანონმდებლობა, აქციზი, აქციზის ჩათვლა, ორმაგი დაბეგვრა, იმპორტი.

ნათია ტეტუნაშვილი

სტუ-ს დოქტორანტი

E-mail: natiatetunashvili@gmail.com

ბიძინა ჯავშანაშვილი

სტუ-ს დოქტორანტი

E-mail: becka771@gmail.com

ქვეყანაში არსებული საგადასახადო პოლიტიკის მიზანია კერძო სექტორისა და უცხოური ინვესტიციებისათვის, ასევე ბიზნესის დაწესებულების და განვითარებისათვის, მიმზიდველი და ხელსაყრელი საგადასახადო გარემოს შექმნა. ამ მიზნით, საგადასახადო ადმინისტრირების პროცესში გამოვლენილი პრობლემების გათვალისწინებით, ხორციელდება გადასახადის ადმინისტრირების გამარტივება, საგადასახადო კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ევროკავშირის კანონმდებლობასთან და საგადასახადო კანონმდებლობის დახვეწა. დახვეწასთან დაკავშირებით ერთ-ერთი აქტუალური საკითხია გადასახადების ჩათვლის საკითხი.

პრაქტიკაში (ასევე ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით) აქციზური საქონელი, კერძოდ, საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2711 12 110 00 კოდით კლასიფიცირებული - საავტომობილო აირი იმპორტის განხორციელების მომენტში იბეგრება აქციზით ტონაზე 180 ლარი (გარდა მიღსადენით გადაადგილებული საქონლისა, ვინაიდან, ს/კ 188-ე მუხლის მიხედვით ამ გზით გადაადგილებული საქონელი არ არის შეტანილი აქციზით გასაბეგრ საქონელთა ნუსხაში). ასევე, ს/კ -ს 184-ე მუხლის პირველი ნაწილის დ) ქვეპუნქტის მიხედვით აქციზით დასაბეგრი ოპერაციის დრო, დასაბეგრი ოპერაციების განხორციელების მომენტი: ბუნებრივი აირი კონდენსატის ან/და ბუნებრივი აირის ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის მიწოდების მომენტი; დ1) ქვეპუნქტის მიხედვით - საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2711 12, 2711 13, 2711 14 000 00, 2711 19 000 00 კოდებში მითითებული ნავთობპროდუქტების აირების ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის მიწოდების მომენტი.

გარდა ამისა, ს/კ-ს 189-ე მუხლის შესაბამისად, გადასახადი ვერ ჩაითვლის აქციზის გადასახადს, თუ ის არ არის აქციზური საქონლის



მწარმოებელი, აქედან გამომდინარე, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ საავტომობილო აირი (საწვავად გამოსაყენებელი) იბეგრება ორჯერ:

პირველად - საქონლის იმპორტისას;

მეორედ - საქონლის მიწოდების მომენტში.

ასევე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის ბრძანება №290-ში აირის მიღსადენით გადაადგილების აუცილებლობაზე არაფერია ნახსენები.

ვინაიდან, ავტომობილის საწვავად გამოსაყენებელი აირი პროპანი გათვალისწინებული ბუნებრივი აირია და მისი გადაადგილება თავისუფლად არის შესაძლებელი ლითონის რეზერვუარით სახმელეთო გზით. ვფიქრობ, ეს გარემოება არ არის გათვალისწინებული საქართველოს კანონმდებლობაში და მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა, პრაქტიკაში ბუნებრივი აირის ერთადერთი იმპორტიორი არსებობდეს, რომელიც მის შემოტანას მხოლოდ მიღსადენით ახორციელებდეს, ამ საკითხის დარეგულირება მაინც აუცილებლობად მიმაჩნია.

ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების საქმიანობის განხორციელება შესაძლებელია შესაბამისი ლიცენზიის არსებობის შემთხვევაში („საქართველოს კანონი ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“; მე-6 მუხლი მე-20 ნაწილი) და ამ მიმართულებით რეგულირების კუთხით სახელმწიფოს, პრობლემა არ შეექმნება.

ყველა ზემოთ აღნიშნულის გარდა, ამ პროდუქტის (საავტომობილო აირი) ტრანსპორტირების საკითხთან მიმართებაში ასევე არაფერია ნახსენები 1999 წლის 16 აპრილის „საქართველოს კანონში ნავთობისა და გაზის შესახებ“.

ასევე, ამ საკითხთან მიმართებაში არაფერია ნახსენები ს/კ 309-ე მუხლში (გარდამავალი დებულებები).

აღსანიშნავია, რომ აქციზი, ისევე, როგორც დამატებული ღირებულების გადასახადი და იმპორტის გადასახადი არის არაპირდაპირი გადასახადი, რომელიც დგინდება მიწოდებული (იმპორტირებული) საქონლის ან/და გაწეული მომსახურების ფასზე დანამატის სახით და რომელსაც იხდის საბოლოო მომხმარებელი ამ გადასახადით გაზრდილი ფასით საქონლის ან/და მომსახურების შეძენისას.

არაპირდაპირი გადასახადის ბიუჯეტში გადახდის ვალდებულება ეკისრება საქონლის

მიმწოდებელს (იმპორტიორს) ან/და მომსახურების გამწევს, რომელიც კოდექსის მიზნებისათვის გადასახადის გადამხდელად იწოდება.

თუმცა, ამ გადასახადით გამოწვეული ტვირთი, რა საკვირველია, საბოლოო მომხმარებელს აწევბა.

ამასთან, არ უნდა დაირღვეს საგადასახადო კოდექსის მთავარი პრინციპი, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ ერთი და იგივე ოპერაცია ორჯერ არ უნდა იქნას დაბეგრული და დასაბეგრი შემოსავლის (მოგების) განსაზღვრასთან დაკავშირებული არც ერთი ელემენტი არ უნდა იქნას გამოტოვებული ან ორჯერ ჩართული.

ქვეყნის კანონმდებლობაში დღევანდელი მდგომარეობის გათვალისწინებით, ამ კონკრეტულ საქონელთან მიმართებაში, პრინციპი ორჯერ დაბეგრის თავიდან აცილების შესახებ არ არის გათვალისწინებული, რაც საბოლოოდ იძლევა იმ შედეგს, რომ პროდუქციას აძვირებს მომხმარებლისათვის. ასევე, არაკონკურენტულ პირობებში აყენებს, იმპორტიორს, რომელიც საავტომობილო აირის იმპორტს ახორციელებს არა მიღსადენის, არამედ სხვა სატრანსპორტო საშუალების გამოყენებით.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ორმაგი დაბეგრის თავიდან ასაცილებლად, შესაძლებელია, მიზანშეწონილად მივიჩნიოთ ცვლილება ს/კ-ს 189-ე მუხლში, რომელიც ეხება აქციზის ჩათვლას.

დასკვნა

გადამხდელთათვის ერთნაირი პირობების მათთვის სამართლიანი ბიზნესგარემოს შექმნისათვის, აუცილებელია გარკვეული ცვლილებები განხორციელდეს საქართველოს საგადასახადო კოდექსში გამოვლენილი პრობლემების გათვალისწინებით, განხორციელდეს საგადასახადო კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ევროკავშირის კანონმდებლობასთან. ამისათვის აუცილებელია ზემოთ მოცემული ცვლილებების შეტანა შესაბამის კანონში.

გარდა ამისა, შესაძლებელია, საგადასახადო კოდექსის მე-8 მუხლს (ტერმინთა განმარტება) დაემატოს მწარმოებლის ტერმინის განმარტება, რომელშიც გათვალისწინებული იქნება აქციზის ჩათვლის მიზნებისათვის მწარმოებლად მიჩნევის გარემოება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს საგადასახადო კოდექსი, 2010 წ.

2. <http://old.mof.ge/RevenuePolicy>

3. <http://www.nplg.gov.ge>



FAILURES OF THE TAX LEGISLATION OF GEORGIA, ITS ANALYSIS AND WAYS TO CORRECT IT

NATIA TETUNASHVILI

E-mail: natiatetunashvili@gmail.com

BIDZINA JAVSHANASHVILI

PhD of GTU

E-mail: becka771@gmail.com

Summary

Tax legislation consists of the Constitution of Georgia, international treaties, tax code and subordinate normative acts (order, decree, decree) on the territory of Georgia, which, in turn, will be based on the country's tax policy and is changing. Nowadays, the existing tax policy in the country is designed for private sector and foreign investments, as well as creating and developing business, attractive and favorable tax environment. To this end, simplification of tax administration is carried out, in line with the problems identified in the tax administration process, harmonization of tax legislation with the EU legislation and tax legislation. The article discusses one of the tax code, namely, the deficiencies in excise.

keywords: Tax legislation, Excise, Excise tax deduction, Double taxation, Import.

НЕДОЧЁТЫ НАЛОГОВОГО ЗАКОНОДАТЕЛЬСТВА ГРУЗИИ, ЕГО АНАЛИЗ И ПУТИ ИСПРАВЛЕНИЯ

НАТИА ТЕТУНАШВИЛИ

Докторант ГТУ

E-mail: natiatetunashvili@gmail.com

БИДЗИНА ДЖАВШАНАШВИЛИ

Докторант ГТУ

E-mail: becka771@gmail.com

Резюме

Налоговое законодательство включает в себя Конституцию Грузии, международные договоры, налоговый кодекс и подзаконные нормативные акты (распоряжение, указ, декрет) на территории Грузии, которые, в свою очередь, будут основываться на налоговой политике страны и меняются. В настоящее время существующая налоговая политика в стране предназначена для частного сектора и иностранных инвестиций, а также для создания и развития деловой, привлекательной и благоприятной налоговой среды. С этой целью упрощается налоговое администрирование в соответствии с проблемами, выявленными в процессе налогового администрирования, гармонизацией налогового законодательства с законодательством ЕС и налоговым законодательством. В статье рассматривается один из налоговых кодексов, а именно недостатки акциза.

Ключевые слова: Налоговое законодательство, Акциз, Акцизный налоговый вычет, Двойное налогообложение, Импорт.